

**ხორვატიაში, ფულის ერთეულის ცვლილებისა და შენგენის ზონაში  
გაწევრიანების შემდეგ, კარგი ადგილობრივი მმართველობის ხელშეწყობა კიდევ  
უფრო მნიშვნელოვანია**

2023 წელი ხორვატიისთვის გარდამტეხი წელი იყო: საზღვრის კონტროლი და ფულის ერთეულის ცვლილება უკვე წარსულის მოგონებებს მიეცა. ქვეყანამ ახალი 2023 წელი ევროინტეგრაციის ფარგლებში ორი ძირითადი და რადიკალური ნაბიჯით აღნიშნა, როგორც ევროზონაში, ასევე შენგენის ზონაში გაწევრიანების გზით.

ხორვატია ევროკავშირს შეუერთდა ჯერ კიდევ 2013 წელს, მას შემდეგ გადიოდა რეფორმების პერიოდს, რათა დაეკმაყოფილებინა რიგი მოთხოვნები (ე. წ. „acquis“), რომლებიც აუცილებელია როგორც ევროზონაში, ასევე შენგენის ზონაში გაწევრიანებისთვის. 2023 წლის 1 იანვრიდან ევრო გახდა ეროვნული ვალუტა, რომელმაც ჩაანაცვლა ხორვატიული ფულის ერთეული კუნა. ამავე დროს, ადამიანებს შეუძლიათ თავისუფლად გადაადგილდნენ და იმოგზაურონ შენგენის ზონაში სასაზღვრო კონტროლის გარეშე. „ ხორვატები უერთდებიან 347 მილიონი ევროპელის საზოგადოებას, რომლებიც იყენებენ ევროს ყოველდღიურ ცხოვრებაში. ეს არის მთავარი მიღწევა ხორვატიისთვის და სიმბოლური მომენტი მთლიანად ევროზონისთვის“, – აღნიშნა ევროკომისიის [პრეზიდენტმა ფონ დერ ლაიენმა](#).

**ხორვატიამ ახალი წელი ევროინტეგრაციის ფარგლებში ორი ძირითადი და  
რადიკალური ნაბიჯით აღნიშნა, როგორც ევროზონაში, ასევე შენგენის ზონაში  
გაწევრიანების გზით.**

მიღწევებზე საუბრისას უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ALDA ახორციელებს ["კარგი მმართველობის ევროპულ ნიშანს \(ELoGE\)"](#) ხორვატიაში, რაც ხელს უწყობს რეფორმების გატარებას კარგი მმართველობის კუთხით, აჯილდოებს იმ მუნიციპალიტეტებს, რომლებმაც წარმატებით განახორციელეს პროგრამა, დემოკრატიული პროცესის სიღრმისეული ცოდნის შესახებ ინტერესს უღვივებს ადგილობრივ ხელისუფლებას.

საერთო ჯამში, ALDA –მ ხორვატიელებთან ერთად გაიზიარა ეს მნიშვნელოვანი მოვლენა. ხორვატიაში დაფუძნებული ALDA-ს სამი ოპერატიული პარტნიორი (OPs) ფოკუსირებულია ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის გაძლიერებაზე. ALDA მუშაობს იმისთვის, რომ ხელი შეუწყოს მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდას მონაწილეობითი დემოკრატიის და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ხორვატიაში ევროკავშირის უფრო მჭიდრო და ძლიერ  
ნაწილში!